ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41250295**
თარიღი:**29/01/2025**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5 %-ს. შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო რიცხოვნობის -12 ერთეულის 5%-ი შეადგენს 1 ერთეულს. იმის გათვალისწინებით, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ფუნქციის შესასრულებლად საჭიროა 11 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მიღებულ იქნეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების , „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 11 ერთეულით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან

წარმოშობილ შრომით და სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი